

ადამიანისა და გარეული ცხოველების თანაცხოვრება

პრევენციისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები
ადგილობრივი თვითმმართველობისათვის



**ადამიანისა და გარეული ცხოველების
თანაცხოვრება**

ბათუმი 2017

სახელმძღვანელოს შესახებ

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, გააცნოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ფერმერებს და სოფლის მოსახლეობას გარეული ცხოველების თავდასხმების რისკების მართვის სახელმწიფო მარეგულირებელი ბაზა, პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები და არსებული რეაგირების მექანიზმები. სახელმძღვანელო დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება გარეული ცხოველების თავდასხმებისაგან დაცვის პრევენციული საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. დოკუმენტი ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ კატასტროფების რისკის შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფების ეფექტურ მუშაობას.

სახელმძღვანელო 2015 წელს აჭარაში ჩატარებულ „ადამიანისა და გარეული ცხოველების საბაზისო კვლევას“ ეფუძნება¹, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული და მერსი ქორფსის (Mercy Corps) მიერ იმპლემენტირებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ (ALCP) დაკვეთით “შავი ზღვის ეკო აკადემიამ” მოამზადა.

¹ <http://alcp.ge/pdfs/e237a1dca094ad6e0a8ff675e432811d.pdf>

შინაარსი

შესავალი -----	5
გარეულ ცხოველთა დაცვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები -----	6
თვითმმართველობის კომპეტენციები და ადგილობრივი მექანიზმები -----	8
გარეული ცხოველის თავდასხმაზე რეაგირების მუნიციპალური მექანიზმი -----	10
მიყენებული ზიანის შემარბილებელი მექანიზმები-----	12
გარეული ცხოველებისგან დაცვის პრევენციული ღონისძიებები -----	14
დანართები-----	19

შესავალი

ველური ბუნების კონსერვაცია და მართვა არა ცხოველთა პოპულაციის, არამედ იმ ადამიანების მართვასთანაა დაკავშირებული, რომლებსაც მათთან კონტაქტი უხდებათ. მგლები და დათვები მხოლოდ იმ შემთხვევაში თანაცხოვრობენ ადამიანებთან, თუ ამ უკანასკნელთ სურვილი აქვთ გაიყონ მათთან ლანდშაფტი და გაიაზრონ მათი და მათი ქონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური და რეალური რისკები.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რათა მათ ხელი შეუწყონ ადგილობრივი მოსახლეობისა და გარეული ცხოველების მშვიდობიან თანაცხოვრებას.

იმისათვის, რომ გარეული ცხოველების გავრცელების არეალში მცხოვრები მოსახლეობა და მათ მიერ განხორციელებული სამეურნეო საქმიანობა დაცული იყოს და პარალელურად შენარჩუნდეს ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება გარეული ცხოველების სახით (რომელთა უმეტესი ნაწილი საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი და დაცულია სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობით), საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე კონკრეტული მექანიზმების შექმნა და ღონისძიებების განხორციელება.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ცხოველთა სამყაროს, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მონიტორინგს: *საქართველოს კანონი “ცხოველთა სამყაროს შესახებ”*; *საქართველოს კანონი “საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ”*; *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი*; *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*; *საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”* (იხ. დანართი).

გარეულ ცხოველთა დაცვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ცხოველთა სამყაროს შესახებ მონიტორინგის განხორციელებასა და ცხოველთა სამყაროს რესურსით სარგებლობაზე პასუხისმგებელია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები:

- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი - პასუხისმგებელია ცხოველთა სამყაროს მონიტორინგზე, მონაცემების შეგროვება - დამუშავებაზე და განსაზღვრავს ცხოველთა სამყაროს სახეობის და რაოდენობის რესურსის სარგებლობას.
- ✓ გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია ცხოველთა სამყაროს რესურსის ლიცენზიის გაცემაზე.
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს ცხოველთა სამყაროს რესურსის სარგებლობის ზედამხედველობას.
- ✓ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღებისა და რეაგირების, ასევე გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების მიზნით (მათ შორის გარეული ცხოველების მიერ განხორციელებული თავდასხმების შესახებ) 2014 წლიდან ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული 24-საათიანი სატელეფონო კავშირი - ცხელი ხაზი 153, რომელზეც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება რეაგირება.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები

გარეულ ცხოველთა რეგულირების მანდატის ფარგლებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო თანამშრომლობს საქართველოს სოფლის მეურნეობის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ადამიანისათვის, შინაური ან გარეული ცხოველებისათვის სახიფათო

ეპიდემიის ან/და მისი გავრცელების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული საფრთხე დგინდება ცხოველთა ზოონოზური და ზოონანთროპონოზური დაავადებების სადიაგნოსტიკო გამოკვლევების საფუძველზე. გარემოდან სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული ცხოველების ამოღებაზე პასუხისმგებელია სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელსაც თავისი უფლებამოსილი პირი ჰყავს ყველა სამოქმედო ზონაში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივ დონეზე გარეულ ცხოველთა რეგულირების ფარგლებში თანამშრომლობა ეფუძნება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს (თავი 17, მუხლი 1), რომლის მიხედვითაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აფორმებენ ხელშეკრულებას გარეულ ცხოველთა რეგულირების საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომლის განხორციელებასაც გეგმავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რომლის ზედამხედველობაზეც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური.

ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შექმნას ადგილობრივი მექანიზმები (მაგ, სპეციალური სამუშაო ჯგუფები. იხ. დეტალები ქვემოთ) იმისათვის, რომ დროულად და ეფექტურად განახორციელოს მასზე ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილება.

თვითმმართველობის კომპეტენციები და ადგილობრივი მექანიზმები

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობას აძლევს განახორციელონ ადგილობრივ პირობებთან შესაბამისი ღონისძიებები.

დღეისათვის საქართველოში გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღების საქმიანობა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და იმ მუნიციპალიტეტს შორის, სადაც დადასტურებულია გარეული ცხოველის თავდასხმის ან მისი დაავადების შემთხვევა.

თუ გარეული ცხოველის თავდასხმა ან მისი დაავადება საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, დაინტერესებული მუნიციპალიტეტი რეგულირების ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე განცხადებით მიმართავს სამინისტროს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მიავლენს ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს. მუნიციპალიტეტის განცხადების ან/და ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვის შემდეგ, სამინისტრო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის საფუძველზე ამზადებს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს და უთანხმებს მუნიციპალიტეტს. სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

რეგულირების ღონისძიების ჩატარება კონტროლდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომელიც ადგენს შესაბამის აქტს.

- დაუშვებელია რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველის, ან მისი ნაწილის გაყიდვა, ან რაიმე ფორმით გასხვისება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

გარეული ცხოველი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა სამეცნიერო დაწესებულებას, ზოოპარკს ან ცხოველთა თავშესაფარს. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გარეული ცხოველი ნადგურდება.

▪ გარემოდან სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული ცხოველების ამოღება ხდება საქართველოს მთავრობის N 433 დადგენილების საფუძველზე, (2013 წლის 31 დეკემბერი) და ადგენს ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის ტექნიკურ რეგლამენტს. ამ რეგლამენტის მიხედვით, ცოცხალი ცხოველების ამოღება ხდება - დახოცვითა და შემდეგ დაწვით; დაწვის ადგილის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებისა და ნარჩენების დამარხვით.

თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის აუცილებელია გარეულ ცხოველთა თავდასხმების ე.წ. „ცხელი წერტილების“ განსაზღვრა /გამოვლენის და პროგნოზირების სისტემის ჩამოყალიბება, მონაცემების მოძიება და ზეგავლენების შეფასება.

აღნიშნული ღონისძიება გულისხმობს:

- ✓ გარეული ცხოველების მონიტორინგის სისტემის შემუშავებას და განხორციელებას (შესაძლებელია ფოტოხაფანგების აქტიურად გამოყენება).
- ✓ ველურ ბუნებაში არსებული გარეული ცხოველების საკვები ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას (მაგალითად, ველური ჩლიქოსნების გამრავლების პროგრამები, ცალკეული, ველურად მოზარდი, ნაყოფისმომცემი მცენარეების დაცვა და აღდგენა და ა.შ).
- ✓ სიტუაციის მუდმივ მონიტორინგს და მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნას და დანერგვას.

გარეული ცხოველის თავდასხმაზე რეაგირების მუნიციპალური მექანიზმი

სასურველია მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდეს დატრენინგებული ადამიანებისგან შემდგარი სწრაფი რეაგირების ჯგუფი. ჯგუფში უნდა შედიოდეს: გარემოს დაცვის წარმომადგენელი (დაცული ტერიტორიის რეინჯერი, სატყეო რეინჯერი ან გარემოს ზედამხედველობის ინსპექციის წარმომადგენელი), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი და თემიდან რამდენიმე ადამიანი.

ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თავდასხმების შესახებ პირდაპირ ჯგუფს მიაწოდოს. ჯგუფი სწრაფად და ეფექტურად მოახდენს რეაგირებას, შემთხვევის აღწერას და მონაცემთა ბაზაში განთავსებას; პრობლემური ცხოველის იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში მისი ამოღებისათვის საჭირო ნებართვის მოპოვებას.

აპრობირებული მოდელი: კატასტროფების რისკის შემცირების და პირუტყვის დაავადებების კონტროლის მუნიციპალური ჯგუფები

2014 წელს აჭარის მუნიციპალიტეტებში შეიქმნა კატასტროფების რისკის შემცირებისა და პირუტყვის დაავადებების კონტროლის სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გარეული ცხოველებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის მონიტორინგს აწარმოებენ. სამუშაო ჯგუფების² ძირითადი მიზნებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირუტყვის დაავადებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება; ეფექტური ეპიზოოტური კარანტინების ჩატარების უზრუნველყოფა; საძოვრების მენეჯმენტი; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფა; პირუტყვის დაავადებებისა და გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზარალის დათვლა-აღრიცხვა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა, დაგეგმვა და განხორციელება. სამუშაო ჯგუფები აქტიურ კოორდინაციას ახდენენ ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლების კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელ

² აღნიშნული სამუშაო ჯგუფები აჭარის და ქვემო ქართლის რეგიონების მუნიციპალიტეტებში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით და მერსი ქორფის "მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის" ფასილიტაციით 2012-14 წლებში ჩამოყალიბდა.

ინსტიტუტებთან, მათ შორის გარემოს დაცვის სააგენტოსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელიც ასევე შეარჩევს და ნიშნავს კატასტროფების რისკის შემცირების კოორდინატორს. მუნიციპალიტეტებში მუშაობს სპეციალური ცხელი ხაზი - უფასო სატელეფონო ნომერი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა უკავშირდება მუნიციპალიტეტს და აწვდის ინფორმაციას პირუტყვის დაავადებების, გარეული ცხოველების თავდასხმებისა და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ.

მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები აწარმოებენ მონაცემთა ბაზას და აქვთ სპეციალური აღრიცხვის ფორმები. აღნიშნულ ბაზაზე და შესაბამის სტატისტიკაზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტი გეგმავს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს.

მუნიციპალური სამუშაო ჯგუფების აღნიშნული მოდელი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე კატასტროფების რისკის შემცირების ეფექტურ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას განახორციელოს რისკის შემცირების ქმედითი ღონისძიებები მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მოდელის რეპლიკაცია შესაძლებელია საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, სადაც მსგავსი სისტემა არ მოქმედებს, ხოლო ჯგუფების მონაცემთა ბაზები საშუალებას მისცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომ შეიქმნას გარეული ცხოველების თავდასხმების და დაავადების შეგროვების, შენახვის, გაცვლის და ანალიზის ერთობლივი ეროვნული სისტემა.

ამავე ჯგუფებს შეიძლება დაევალოს ადამიანი - გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული თანამედროვე და მოწინავე გამოცდილების, ტექნოლოგიების, მექანიზმების კვლევა და სამიზნე არეალში ტესტირება. ტესტირების დადებითი შედეგების შემთხვევაში კი სპეციალური პროგრამების განხორციელება მათი დანერგვის უზრუნველსაყოფად.

მიყენებული ზიანის შემარბილებელი მექანიზმები

მოსავლის და პირუტყვის დაზღვევა

მოსავლის და პირუტყვის დაზღვევა ეფექტური და ინოვაციური საშუალებაა ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების შესარბილებლად, მაგრამ დაზღვევის ეს სახე ჯერ კიდევ ექსპერიმენტულია, არ არის კარგად აწყობილი და მოსახლეობასაც არ აქვს სრული ინფორმაცია მის შესახებ. დაზღვევის ეს სახე აზღვევს მოსავალს ან პირუტყვს გარეული ცხოველის თავდასხმისგან. ამგვარ დაზღვევის სისტემაში, პირველ ეტაპზე, თანადამფინანსებლის სახით შესაძლებელია ჩაერთოს ცენტრალური მთავრობა ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, აღნიშნული ქმედება შეამცირებს ფერმერის მიერ დაზღვევისათვის გადასახდელ თანხას.

ვეტერინარული სისტემა

ვეტერინარული სერვისების უკეთესი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ადგილობრივი მესაქონლეებისთვის დაავადებების გავრცელების პრევენციის გზით პირუტყვის დანაკარგის შემცირებას. გამართული ვეტერინარული სისტემა დადებით ეფექტს იქონიებს როგორც შინაურ პირუტყვზე, ისე გარეულ ცხოველებზე, სადაც შემცირდება ცოფისა და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელება.

კონსერვაციული განათლება

საგანმანათლებლო აქტივობები სხვადასხვა დონეებზე, მაგალითად სკოლებში, ფერმერებში, სხვადასხვა სოციალურ თუ ეკონომიკურ ჯგუფებში, რომლის მიზანი იქნება ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თანამედროვე ცოდნის და ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ურთიერთდამოკიდებულების შერბილებისათვის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ფერმერებისთვის ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკული პრევენციული მეთოდების შესახებ, ხელს შეუწყობს მათი მედეგობის ზრდას და ახალი ტექნიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვას მეურნეობების დაცვის თვალსაზრისით.

ამ მექანიზმების დანერგვა დროთა განმავლობაში განაპირობებს ქვეყნის ცვლილებას ადგილობრივ მოსახლეობაში, ხელს შეუწყობს რისკის შემცირებას, ადგილობრივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და თავდასხმების მიმართ მოწყვლადობის შემცირებას.

კომპენსაციის სისტემა

გარეული ცხოველის თავდასხმამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი შეიძლება მიაყენოს ფერმერს და კომპენსაციის გადახდა არის ამ ზიანის შერბილების ერთ-ერთი საშუალება.

კომპენსაციის სისტემის დანერგვისათვის შესაძლებელია თანხების მოძიება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების თუ მოსაკრებლებიდან (ნადირობის, საშეშე მერქნის დამზადების და ა.შ.), დაცული ტერიტორიების შემოსავლებით, ან დონორების დახმარებით. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია კომპლექსურად, სხვა ღონისძიებების პარალელურად, ან როგორც შემავსებელი სხვა ღონისძიებებისა.

გარეული ცხოველებისგან დაცვის პრევენციული ღონისძიებები

ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები

ბარიერები საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა გარეული ცხოველებისგან შინაური პირუტყვის თუ მოსავლის დასაცავად. ბარიერების მოსაწყობად გამოიყენება მრავალი საშუალება: ხის ტოტები, ქვა, მავთულბადე და სხვა.

დროშებიანი ბარიერი

მგლებისგან შინაური პირუტყვის დასაცავად აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთში გამოიყენება დროშებიანი ბარიერი. ბარიერი მარტივი კონსტრუქციისაა, ის შედგება თოკზე დაკიდებული მოქანავე დროშებისგან, დროშებს შორის დაშორებაა 0.5 მეტრი (იხ. სურათი 1). კვლევებმა აჩვენა, რომ მგლებს ეშინიათ თოკზე დამაგრებული მოქანავე დროშების და არ კვეთენ ასეთ ბარიერებს. მსგავსი ბარიერებით დღესაც იცავენ შინაურ პირუტყვის. ასეთი ბარიერის მოწყობა ადვილია შინაური პირუტყვის ღამისათვე ადგილას, მაგრამ რთულია სამოვრებზე გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ ბარიერის არ ეშინია დათვს. შინაური პირუტყვი არ უფრთხის ამ ბარიერს და ადვილად ტოვებს მას. როგორც



სურათი 1: დროშებიანი ბარიერი

წესი, დროშებიან ბარიერს იყენებენ სხვა სახის ბარიერებთან კომბინაციაში.

ელექტრო მწყემსი

დღეისათვის ყველაზე ეფექტურ პრევენციულ საშუალებად ითვლება „ელექტრო მწყემსი“ (electric fencing). იგი მოქმედებს როგორც წვრილ, ისე მსხვილ გარეულ ცხოველებზე, მაგ. როგორცაა მურა დათვი, მგელი. შინაური პირუტყვი ერიდება მასთან კონტაქტს, რაც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქონლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ელექტრომწყემსი გამოიყენება როგორც პირუტყვის დამისათევი (თავშეყრის) ადგილების დასაცავად, ასევე საძოვრებზე, საძოვრის დიდი ფართობის შემოსაფარგლად. ელექტრომწყემსი ასევე ეფექტურად გამოიყენება ფუტკრის სკების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების დასაცავად (იხ. სურათი 2). ელექტრომწყემსის დადებითი მახასიათებელია მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის შესაძლებლობა. უარყოფით მახასიათებლად ითვლება პირველადი ინსტალაციის ღირებულება (ტექნიკური მახასიათებლიდან გამომდინარე



სურათი 2: მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტრო ღობე

ფასი შეიძლება მერყეობდეს 1000-დან 2500 ლარამდე 1 ჰექტარი ფართობისათვის), რაც მისი გრძელვადიანი და მარტივი ექსპლუატაციის პირობებში ხარჯეფექტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

გარეული ცხოველებისგან თავდასხმის პრევენციისათვის ეფექტურია ელექტრომწყემსის მოწყობილობასთან ერთად გამოყენებულ იქნას ღამის სანათები. ორივე წარმოდგენილი სისტემა მუშაობს მზის ენერჯის გამოყენებით და არ საჭიროებს დამატებით ელექტროკვებას, რაც მნიშვნელოვანი დანაზოგია ფერმერებისათვის.

სინათლის და ხმის მოწყობილობა

ღღეისათვის ფართოდაა დანერგილი სრულად პროგრამირებადი სინათლის და ხმის მოწყობილობა, რომელიც შეიძლება დამაგრდეს ღობეზე ან ხეზე სამოვრის ტერიტორიაზე გარეული ცხოველების შემოჭრის თავიდან ასაცილებლად (იხ. სურათი 3). მოწყობილობამ



სურათი 3: სრულად პროგრამირებადი სინათლისა და ხმის მოწყობილობა

შეიძლება გამოსცეს მოულოდნელად გააქტიურებადი სინათლისა და ხმაურის ეფექტი მაგალითად, სროლის ხმა.

წარმოდგენილი ტექნოლოგიების დანერგისათვის შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალიზებული პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მწარმოებლებთან კავშირს, მათ შემოტანას ქვეყანაში და ფერმერებისათვის შეღავათიანი პირობებით და/ან განვადებით გადაცემას.

გუშაგობით მომწყემსვა

ნახირის აქტიური მომწყემსვა საძოვარზე მწყემსის დახმარებით გარეული ცხოველებისგან დაცვის აქტიური და ეფექტური საშუალებაა. გუშაგობით მწყემსვის დროს შესაძლებელია გუშაგებად (მწყემსებად) ძაღლების გამოყენება. ეს კარგი სტრატეგიაა და ამცირებს გარეული ცხოველების თავდასხმის რისკს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ძაღლები არ არიან ეფექტური დათვის ან მგლის თავდასხმისგან დასაცავად. აჭარის სოფლებში არსებული ძაღლების უმეტესობა შერეული ჯიშისაა და არც ერთს არ გაუვლია სპეციალური საწვრთნელი პროგრამა. ძაღლით მწყემსვის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია ძაღლი იყოს სპეციალურად მწყემსისთვის გამოყვანილი ჯიშის მაგ. კავკასიური ან ქართული ნაგაზი და გავლილი ჰქონდეს სპეციალური საწვრთნელი პროგრამა.

აჭარის მოსახლეობა ნაკლებად იყენებს ძაღლებს. უფრო მეტიც, ისინი ძაღლებს საერთოდ არ განიხილავენ, როგორც გარეული ცხოველებიდან მომდინარე რისკის შემცირების ეფექტურ საშუალებას. შესაბამისად, ამ მიმართულებით საჭიროა ცნობიერების ამაღლების და ძაღლების გამოყენების ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროგრამების განხორციელება.

მეურნეობის ინტენსიური სისტემების დანერგვის ხელშეწყობა

ადგილობრივი მეურნეობის გაძლიერების ექსტენსიური სისტემიდან ინტენსიურ სისტემაზე გადასვლის ხელშეწყობა გულისხმობს დახურული ფერმების მოწყობას, რომლებშიც არ გამოიყენება საქონლის სამოვრად გაშვების პრაქტიკა. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება შესაძლებელს გახდის გარეული ცხოველების გავრცელების არელების შენარჩუნებას და შეამცირებს საქონელზე თავდასხმის რისკს.

ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც ზღუდავს გარეული ცხოველების მიერ ნარჩენებზე ხელმისაწვდომობას

ნარჩენების მართვის კარგი სისტემა უზღუდავს გარეულ ცხოველებს „მარტივ“ საკვებზე ხელმისაწვდომობას, რაც მათ მასობრივ გამრავლებასაც ზღუდავს. ხელმისაწვდომი ნარჩენები გარეული ცხოველებისათვის ერთგვარი „ატრაქტანტია“ და იზიდავს მათ ნაგავსაყრელებზე და ადამიანით დასახლებულ ადგილებზე. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ბოლო 10 წლის განმავლობაში ტურის გამრავლება და კონცენტრაციის გაზრდა სწორედ ნაგავსაყრელების სიახლოვეს.

სამონადირეო ტურიზმის განვითარება

გრძელვადიან პერიოდში, როდესაც ცალკეული გარეული სახეობების რიცხოვნობა საკმარისად გაიზრდება, მიზანშეწონილია სამონადირეო ტურიზმის განვითარება. ამ სფეროში მეზობელ თურქეთს აქვს კარგი გამოცდილება: ყოველწლიურად ხდება სახეობათა რიცხოვნობის განსაზღვრა და დგინდება ბუნებიდან ამოსაღები ინდივიდების რაოდენობა, კვოტის ნაწილი გააქვთ აუქციონზე, რომელშიც დაინტერესებული ტურისტული კომპანიები მონაწილეობენ, ნაწილი რჩება თემს და მათ შეუძლიათ გაყიდონ, მიღებული შემოსავალი კი თემის განვითარებას მოახმარონ.

დანართები

დანართი 1. საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ³

მუხლი 2. ძირითადი ცნებების განმარტებანი

1. ცხოველთა სამყარო - ყველა სახის გარეული ცხოველების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შეღფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.

მუხლი 25. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სახეობები

1. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა მოიცავს:

ა) ნადირობას;

ბ) თევზჭერას, წყლის უხერხემლო ცხოველებისა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების ჩათვლით;

გ) ცხოველთა სამყაროს იმ ობიექტების მოპოვებას, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს;

დ) გარეულ ცხოველთა (ნიადაგწარმომქმნელები, მცენარეთა დამმტვერავეები, ბიოფილტრატორები და სხვა) ცხოველქმედების სასარგებლო თვისებებითა და პროდუქტებით (თაფლი, ცვილი, და სხვა) სარგებლობას;

ე) ცხოველთა სამყაროს სამეცნიერო გამოკვლევასა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარ სარგებლობას კულტურულ - საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, რეკრეაციული, ესთეტიკური მიზნებისთვის, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოდან ამოღებით ან მის გარეშე;

ვ) გარეულ ცხოველთა მოპოვებას, მათი შენახვის, ტყვეობაში ან ნახევრად თავისუფალ პირობებში გამრავლების მიზნით;

ზ) ზოოლოგიური კოლექციების შექმნას.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სხვა სახეობები.

3. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა ხდება ცხოველთა სამყაროს ობიექტების მათი საბინადრო გარემოდან ამოღებით ან მის გარეშე.

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33352>

4. ცხოველთა სამყაროს ობიექტები სარგებლობისათვის გაიცემა ამ კანონით დადგენილი წესით მხოლოდ სათანადო ლიცენზიის საფუძველზე, გარდა ამ კანონის 26- ე მუხლში აღნიშნული შემთხვევებისა.

მუხლი 26. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო სარგებლობა

1. საქართველოს მოქალაქეებს პირადი (ინდივიდუალური) მოხმარებისა და ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით უფლება აქვთ ისარგებლონ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო სარგებლობის ფორმით.

2. საერთო სარგებლობა ხორციელდება ცხოველთა სამყაროსათვის რაიმე ზიანის მიყენებისა და მისი ობიექტების ბუნებრივი გარემოდან ამოღების გარეშე (გარდა ამ კანონის 21- ე მუხლის მე -6 პუნქტსა და 30-ე მუხლის მე -3 პუნქტში მოყვანილი შემთხვევებისა). ასეთებია: ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ - საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, რეკრეაციული, ესთეტიკური, სამოყვარულო კოლექციების შექმნის, აღდგენითი და ვეტერინარული მიზნებისათვის.

3. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო ფორმით სარგებლობისა აკრძალულია გარეულ ცხოველთა განადგურება, მათი საცხოვრებლებისა და სხვა ნაგებობების (სოროები, სახლები, ბუნაგები, ფრინველთა ბუდეები, და სხვა) დანგრევა, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს დარღვევა და გამრავლების პირობების გაუარესება.

4. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო ფორმით სარგებლობა უფასოა და არ საჭიროებს ლიცენზიას.

მუხლი 28. ნადირობა

1. ნადირობა არის გარეულ ცხოველთა სპეციალური სარგებლობის ფორმით მოპოვება, ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

2. ნადირობა შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლიცენზიის საფუძველზე, სამოყვარულო და სპორტული ნადირობის სახით.

3. ცხოველთა სამყაროს იმ ობიექტების ჩამონათვალის განსაზღვრის წესი, რომლებიც თავიანთი სტატუსიდან, რაოდენობიდან, სარგებლობის ტრადიციებიდან, მიღებული პროდუქტის სახეობებიდან და

ხარისხიდან გამომდინარე, მიეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს, დგინდება „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის განსაზღვრის წესის შესახებ“ დებულებით, რომელსაც შეიმუშავეს და ამტკიცებს სამინისტრო. ცხოველთა სამყაროს იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც თავიანთი სტატუსიდან, რაოდენობიდან, სარგებლობის ტრადიციებიდან, მიღებული პროდუქტის სახეობებიდან და ხარისხიდან გამომდინარე, მიეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს, განისაზღვრება სამინისტროს მიერ ბრძანებით „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნადირობა დაიშვება მხოლოდ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ტერიტორიებზე – სამონადირეო მეურნეობებში. სამონადირეო მეურნეობების მოწყობა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების მხოლოდ შემდეგ კატეგორიებში: აღკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების გარეთაც.

5. ნადირობა აკმალულია ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს.

დანართი 2. საქართველოს კანონი “საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ”⁴

მუხლი 2. კანონის რეულირების საგანი

ეს კანონი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შედგენის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში (შემდგომში – საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ სფერო), გარდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებითა და ველური მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საკითხებისა, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში რეგულირდება 1973 წლის 3 მარტს ქ. ვაშინგტონში შესრულებული კონვენციით „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“.

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12514>

მუხლი 10. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები

1. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო.
2. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის, ნადირობა, რეწვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება.

დანართი 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი⁵

მუხლი 86. თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევა, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა

12. ნადირობის წესების დარღვევა ნადირობის ობიექტებისათვის მიკუთვნებულ სახეობებზე ნადირობისას – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარიდან 500 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.
13. ნადირობის წესის დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 700 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.
14. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 1000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ.
15. ნადირობა იმ იარაღით, საშუალებით ან მეთოდით, რომლით ნადირობაც აკრძალულია (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), – გამოიწვევს

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>

დაჯარიმებას 1000 ლარიდან 2000 ლარამდე, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-12–მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებითი სახდელის სახით სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ არ არის გაცემული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ამ მუხლის მე-12–მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირს თან არ აქვს ამ შენიშვნის პირველი ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტი ან ნადირობა აკრძალული სანადირო იარაღით ხორციელდება, სამართალდამრღვევს დროებით, საქმის განხილვამდე ჩამოერთმევა სანადირო იარაღი, ხოლო მისი დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა ხდება საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს/თანამდებობის პირის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს ჩამოერთმევა მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები და, თუ მისი/მათი მოპოვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი არ არის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შემდგენი ორგანო უფლებამოსილია მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები დადგენილი წესით დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ გაანაწილოს სოციალური მიზნებისათვის, ხოლო თუ მოპოვებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტს/ობიექტებს საკვებად უვარგისობის დამადასტურებელი ნიშნები ახასიათებს (შეცვლილი აქვს ჩვეული ფერი ან/და აღენიშნება ჯანსაღი პროდუქციისათვის უჩვეულო, უსიამოვნო სუნი) – დაუყოვნებლივ გაანადგუროს იგი/ისინი დამარხვით ან შესაბამის ინსინერატორში დაწვით.
4. თუ ამ შენიშვნის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს/თანამდებობის პირის საბოლოო გადაწყვეტილებით პირს დაუბრუნდება ჩამორთმეული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები, ეს პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ცხოველთა სამყაროს

ობიექტის/ობიექტების ჩამორთმევის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დანართი 4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 301. უკანონო ნადირობა

1. ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. (28.04.2006. N2937)

2. ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით, ან საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

დანართი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი⁶

განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>

მუხლი 17. აწესრიგებს უფლებამოსილებების დელეგირების წესსა და პირობებს

1. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

2. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

3. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების დაცვით. ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს.

5. უფლებამოსილებების დელეგირებისას იმავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას გაუწევს.

დანართი 6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება

„ცხოველთა სამყაროსა და მისი ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის, ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის შედგენის, იმ სახეობათა ჯგუფების ნუსხის განსაზღვრის წესების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო აღრიცხვას და სახელმწიფო კადასტრში შეტანას

ექვემდებარებიან, აგრეთვე აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესების შესახებ ⁷ “ დებულების დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 5. საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს კადასტრის წარმოებისა და ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვის საქმიანობის კოორდინირების სფეროში

1. საქართველოს ცხოველთა სამყაროს კადასტრის წარმოებას და ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვის კოორდინირებას აწარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. სახელმწიფო აღრიცხვისა (მონიტორინგი) და სახელმწიფო კადასტრისათვის პირველადი ინფორმაციის მოგროვებას სამინისტრო აწარმოებს თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე პირველადი ინფორმაციის მოპოვებას აწარმოებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, დაცულ ტერიტორიებზე, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე, სამონადირეო მეურნეობის ადმინისტრაცია. მოპოვებული ინფორმაცია მიეწოდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონალურ ორგანოს.

4. სახელმწიფო აღრიცხვისა (მონიტორინგი) და სახელმწიფო კადასტრისათვის პირველადი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება აწარმოოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა სამინისტროს ნებართვით. სამინისტროს მიერ, სახელმწიფო აღრიცხვისა (მონიტორინგის) და სახელმწიფო კადასტრისათვის ინფორმაციის მოგროვებისა და მისი ანალიზის წარმოების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირის შერჩევა წარმოებს კონკურსის წესით.

დანართი 7. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება

“ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და

⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/53800>

მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”.

დანართი 8. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება “გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”

მუხლი 1. დებულების მიზანი

წინამდებარე დებულების მიზანია მოაწესრიგოს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის და სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილების მიზნით, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების ღონისძიებებთან დაკავშირებული ძირითადი ურთიერთობები.

მუხლი 2. გარეულ ცხოველთა რეგულირების დაშვებული ხერხები

1. გარეული ცხოველების რეგულირების ღონისძიებანი უნდა ხდებოდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის გარეული ცხოველებისათვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებას.

2. აკრძალულია გარეული ცხოველების თვითნებური რეგულირება.

მუხლი 3. გარეულ ცხოველთა რეგულირების წესი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, აგრეთვე, სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილების მიზნით იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ზიანს აყენებს მათ ქონებას და ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია, თავდასხმის მომენტში მისი ბუნებიდან ამოღება (რეგულირების ღონისძიება) ხორციელდება დაუყოვნებლივ და არ საჭიროებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინასწარ თანხმობას.


⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2166315>

⁹ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/76510>

სახელმძღვანელო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული და მერსი ქორფსის (Mercy Corps) მიერ იმპლემენტირებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ (ALCP) დაკვეთით “შავი ზღვის ეკო აკადემიამ” მოამზადა.



ALCP | Alliances Lesser
Caucasus Programme



Swiss Cooperation Office
South Caucasus



შავი ზღვის ეკო აკადემია
ვებგვერდი www.bsea.ge
ელ ფოსტა: bsea@bsea.ge
ტელეფონის ნომერი (+995) 577 423 927
მისამართი: ბათუმი, ფ. მეფის ქ. 79

გარეკანის ფოტო: ნიკა წიკლაური © EcoFilms.ge

